

ზოგადი ინფორმაცია

პროექტის დასახელება: სოციალური უსაფრთხოება COVID-19 პანდემიის კონტექსტში

სტატუსი: მიმდინარე

ხანგრძლივობა: 2020 წლის 29 ოქტომბერი - 2022 წლის 31 დეკემბერი

დონორი/დამფინანსებელი: გერმანიის განვითარების ბანკი (KfW)

პროექტის განმახორციელებელი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ბიუჯეტი: სესხი: 15,000,000 ევრო; გრანტი: 5,812,042.49 ევრო

პროექტის მიზანი

პროექტი ფოკუსირებულია მხოლოდ საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის მიერ მიღებული სოციალური დაცვის ზომებზე. პროექტის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის ფინანსური გაძლიერება, რაც მიზნად ისახავს ქართველი ოჯახებისთვის, COVID-19 პანდემიის ეკონომიკური შედეგების შემსუბუქებას.

სასესხო ხელშეკრულება

COVID-19 პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სესხს იყენებს დროებითი ფინანსური ხარჯების დასაფინანსებლად იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებმაც COVID-19 ეპიდემიის გამო დაკარგეს სამუშაო ადგილი. სესხით დაფინანსდება როგორც, კერძო სექტორში ოფიციალურად დასაქმებულებზე გაცემულ კომპენსაციები, ასევე ერთჯერადი სარგებლის გაცემა თვითდასაქმებულთა და არაფორმალური მუშაკებისთვის, რომლებმაც ეკონომიკური ვარდნის, რომელიც გამოწვეული იქნა ეპიდემიის აფეთქების შესაჩერებლად მიღებული ზომების გამო, დაკარგეს შემოსავალი.

საგრანტო ხელშეკრულება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გრანტს სოციალური დახმარების პროგრამის ("TSA") ფარგლებში, გამოიყენებს სოციალურად დაუცველი ოჯახების, ფინანსური ხარჯების დასაფინანსებლად. გრანტი ხელს შეუწყობს (ა) არსებული სოციალური დახმარების პროგრამის მასშტაბის გაზრდას; (ბ) უზრუნველყოფს დამატებით კომპენსაციებს და (გ) სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დამატებით დაფინანსებას.